


შპს „ოლპი ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის



შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	2
2. მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წელი.....	3
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	3
ზოგადი ინფორმაცია	4
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	4
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:.....	5
ტერმინების განმარტებები:.....	5
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ძირითადი საშუალებები.....	13
5. საინვესტიციო ქონება	13
6. არამატერიალური აქტივები	13
7. მარაგები	14
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
9. გაცემული სესხები.....	14
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
11. გრძელვადიანი სესხები	15
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
13. მოკლევადიანი სესხები	15
14. შემოსავალი.....	15
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
16. სხვა შემოსავალი	16
17. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები.....	17
18. ფინანსური ხარჯები.....	17
19. სხვა ხარჯები	17

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2019	2018	2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები		1,096,846	903,180	634,834
ძირითადი საშუალებები		2,285,483	1,878,973	-
საინვესტიციო ქონება		7,500	5,000	-
არამატერიალური აქტივები		0	-	-
ინვესტიციები		3,389,829	2,787,153	634,834
სულ გრძელვადიანი აქტივები				
მიმდინარე აქტივები		707,399	1,412,949	552,666
მარაგები		1,977,220	1,643,336	1,131,492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0	14,542	-
გაცემული სესხები		81,663	117,279	337,986
ფული და ფულის ექვივალენტები		2,766,282	3,188,107	2,022,144
სულ მიმდინარე აქტივები		6,156,111	5,975,260	2,656,978
სულ აქტივები				
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი		515,993	515,993	515,993
საწესდებო კაპიტალი		1,484,889	1,676,296	516,704
გაუნაწილებელი მოგება		2,000,882	2,192,289	1,032,697
სულ საკუთარი კაპიტალი				
გრძელვადიანი ვალდებულებები		804,418	608,733	-
გრძელვადიანი სესხები		804,418	608,733	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები		76,500	31,824	156,373
საგადასახადო ვალდებულებები		2,139,623	2,217,965	991,908
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,134,689	924,449	476,000
მოკლევადიანი სესხები		3,350,811	3,174,238	1,624,281
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,156,111	5,975,260	2,656,978
სულ ვალდებულებები და კაპიტალი				

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

2. მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წელი

(ლარი)	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		12,690,519	8,426,048
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-9,885,420	-6,088,853
საერთო მოგება		2,805,099	2,337,195
სხვა შემოსავლები		388,660	602,711
საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები		-2,053,053	-1,435,535
კომერციული დანახარჯები			-10,095
ფინანსური ხარჯები		-362,841	-38,382
სხვა ხარჯები		-35,757	-106,561
არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდა			-89,742
		742,108	1,259,591
მოგება დაბეგვრამდე		0	-
მოგების გადასახადის ხარჯი		742,108	1,259,591
წმინდა მოგება			

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება 2018	სულ 2018	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება 2019	სულ 2019
1 იანვარი 2019	515,993	516,704	1,032,697	515,993	1,676,296	2,192,289
დივიდენდები		-100,000	-100,000		-933,515	-933,515
წლის მთლიანი სრული მოგება		1,259,591	1,259,591		742,108	742,108
31 დეკემბერი 2019	515,993	1,676,296	2,192,289	515,993	1,484,889	2,000,882

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

ზოგადი ინფორმაცია

შპს ოლ-პი ჯგუფი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 16 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405140832. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მგალობლიშვილის ქ., № 13, ფაქტიური მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მგალობლიშვილის ქ., № 13. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2016 წლის 16 მარტიდან. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი შპს ელემენტ კონსტრაქშენი (ს/ნ 205208746) კომპანიის დირექტორი - გიორგი ბერაძე (პ/ნ 01024026184) კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 515 993 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 380 ადამიანი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა
თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი
ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიღება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, პირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

- (ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან
- (ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

საწარმომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

ბ) შემდგომი შეფასება

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.
კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება
ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.
იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. კომპანია ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფის მიმართ იყენებს თვითღირებულების მეთოდს
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	-
ნაგებობები	-
მანქანა-დანადგარები	7
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

სამშენებლო კონტრაქტები

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები უნდა აღიაროს, როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად, შესაძლებელი უნდა იყოს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება. საწარმომ ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადია ისეთი მეთოდით უნდა განსაზღვროს, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

ნებადართული მეთოდებია:

(ა) პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელ-შეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანო-ბასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარ-ჯები მასალებზე ან წინასწარგადახდილი თანხები (ავანსები);

(ბ) შესრულებული სამუშაოების გამოკვლევის მეთოდი; და

(გ) მომსახურების ოპერაციის, ან სახელშეკრულებო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდი.
კომპანია სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებას ახორციელებს პროპორციულობის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ

მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2019 წლის 1 იანვარი	611,883	623,929	33,820	474	1,270,106
შეძენა	299,872	153,600	13,821	186.44	467,480
გასვლა					
2019 წლის 31 დეკემბერი	911,755	777,529	47,641	660	1,737,586
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლის 1 იანვარი	-178,350	-181,145	-7,397	-34	-366,926
წლის ცვეთის ხარჯი	-145,769	-118,183	-9,748	-114.29	-273,813
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა					
2019 წლის 31 დეკემბერი	-324,119	-299,328	-17,145	-148	-640,739
ნეტო საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 1 იანვარი	433,533	442,784	26,424	440	903,180
2019 წლის 31 დეკემბერი	587,637	478,201	30,497	512	1,096,846

5. საინვესტიციო ქონება

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიწა	2,285,483	1,878,973	-
სულ საინვესტიციო ქონება	2,285,483	1,878,973	-

6. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწყისი ნაშთი	5,000	-
შეძენა	2,500	5,000
საბოლოო ნაშთი	7,500	5,000

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სამშენებლო მასალები	372,157	1,407,377	548,225
სხვა მარაგები	335,242	5,572	4,441
სულ მარაგები	707,399	1,412,949	552,666

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,495,544	866,319	933,775
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	614	10,288	2,685
საკონტრაქტო აქტივი	630,694	293,299	109,400
წინასწარ გადახდილი ავანსები	29,473	295,074	70,144
საგარანტიო მოთხოვნები	146,836	144,940	41,796
წინასწარ გადახდილი გადასახადები		235,916	96,724
სხვა მოთხოვნები		39	-
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(325,941)	-202,539	-123,033
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,977,220	1,643,336	1,131,492

9. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შპს მმ ჯგუფი	-	12,292	-
შპს ლიპო	-	2,250	-
სულ გაცემული სესხები	-	14,542	-

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	558	7,086	299
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	81,105	107,576	327,627
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		2,617	10,060
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	81,663	117,279	337,986

11. გრძელვადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკის სესხი	804,418	608,733	-
სულ გრძელვადიანი სესხები	804,418	608,733	-

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიღებული ავანსები	1,334,208	1,132,007	629,789
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი	515,021	551,388	154,220
ვალდებულებები		340,987	44,518
საკონტრაქტო ვალდებულებები			153,828
გადასახდელი ხელფასები	281,321	119,921	3,801
მომწ. უცხოური ფირმების ვალდებულებები		66,815	4,152
გადასახდელი პროცენტები	9,073	4,447	1,600
იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		2,400	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,139,623	2,217,965	991,908

13. მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკი სესხი	1,134,689	924,449	300,000
შპს "ოლპი მარკეტი"		-	176,000
სულ მოკლევადიანი სესხები	1,134,689	924,449	476,000

14. შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	12,690,519	8,347,521
იჯარა		65,877
მასალების რეალიზაცია		12,649
სულ შემოსავალი	12,690,519	8,426,048

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
სამშენებლო ხარჯები	-9,885,420	-5,969,859
მომსახურების ხარჯები		-118,994
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-9,885,420	-6,088,853

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

16. სხვა შემოსავალი

	2019	2018
საპროცენტო შემოსავლები		862
შემოსავალი მეორადი მასალის რეალიზაციიდან		32,876
სხვა არასაოპერაციო ზარალი	-14,135	
იურიდიული პირები	4,000	
პირგასამტეხლო	9,165	
ზედმეტობა	15,208	
დანაკლისი	-3,425	
კონვერტაცია	-7,324	
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი	385,172	568,973
სულ სხვა შემოსავლები	388,660	602,711

17. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	-1,423,297	-774,361
ცვეთა და ამორტიზაცია	-77,271	-190,444
თანამშრომლების დაზღვევა	-25,926	-5,388
იჯარის ხარჯი		-61,404
მივლინების ხარჯი		-12,854
საკანცელარიო საქონელი		-1,102
სამეურნეო საქონელი		-1,559
ბანკის მომსახურების ხარჯი		-3,064
კომუნიკაციის ხარჯები	-10,707	-8,280
ტრანსპორტის დაზღვევა		-32,072
კომპიუტერის ხარჯები		-343
რემონტის ხარჯები		-2,672
საკონსულტაციო ხარჯები	-47,071	-18,875
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯი	-90,708	-111,812
იურიდიული მომსახურების ხარჯები		-22,985
თანამშრომელთა გადამზადება		-700
წარმომადგენლობითი ხარჯები		-7,865
ავტომანქანის ხარჯი		-5,387
საწვავის ხარჯი	-122,675	-90,134
ინტერნეტსაიტით მომსახურება		-739
საპროცენტო ხარჯი	-182048.73	-375
ქველმოქმედება	-22,587	-7,475
ქონების გადასახადი	-50,763	-83,119
სხვა ხარჯები		
სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	-2,053,053	-1,435,535

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]

18. ფინანსური ხარჯები

	2019
ფინანსური ხარჯები	(385,157)
გაცვლითი კურსის გამო მიღებული მოგება/ზარალი	22,316
ფინანსური ხარჯები	(362,841)

19. სხვა ხარჯები

	2019	2018
მიწის გადასახადი		-2,465
ვალების ამოღების ხარჯი		-10,000
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	-32,616	-79,506
მარაგების გაუფასურების ხარჯი	-3,141	-7,114
სხვა ხარჯები	-35,757	-106,561

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]